შემოსავლების
სამსახური

# საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციის წარდგენისა და გადასახადის გადახდის ვადები

## ⚠ გთხოვთ გაითვალისწინოთ

**2024 წლის საანგარიშო პერიოდზე საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციის წარდგენის ბოლო დღე არის 2025 წლის 31 მარტი**

| 2024 წლის საშემოსავლო გადასახადის წლიურ დეკლარაციას 2025 წლის 31 მარტის ჩათვლით წარადგენენ | საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება |
|---|---|
| მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებდნენ ეკონომიკურ საქმიანობას 2024 წლის განმავლობაში | არაუგვიანეს 2025 წლის 31 მარტისა |
| მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირები | სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებულ შემოსავლის ნაწილში არ იხდიან საშემოსავლო გადასახადს; საერთო წესით დასაბეგრი შემოსავლის ნაწილში არაუგვიანეს 2025 წლის 31 მარტისა (იხ. შენიშვნა) |
| მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირები, საერთო წესით დასაბეგრი საქმიანობის ნაწილში (იხ. შენიშვნა) | არაუგვიანეს 2025 წლის 31 მარტისა |
| მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებსაც 2024 წლის განმავლობაში გაუუქმდათ მიკრო ბიზნესის სტატუსი და მიენიჭათ მცირე ბიზნესის სტატუსი | მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებამდე პერიოდში მიკრო ბიზნესის სტატუსით დაბეგვრას დაქვემდებარებული საქმიანობის ფარგლებში მიღებული შემოსავლის ნაწილში არ იხდიან საშემოსავლო გადასახადს |
| მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებსაც 2024 წლის განმავლობაში მიენიჭათ ან გაუუქმდათ მცირე ბიზნესის სტატუსი, არასრულ საგადასახადო პერიოდში მიღებული შემოსავლების ნაწილში | არაუგვიანეს 2025 წლის 31 მარტისა |
| მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებსაც 2024 წლის განმავლობაში გაუუქმდათ მიკრო ბიზნესის სტატუსი და არ მიუღიათ მცირე ბიზნესის სტატუსი | არაუგვიანეს 2025 წლის 31 მარტისა |

| | |
|---|---|
| ფიზიკური პირები, რომლებმაც 2024 წლის საანგარიშო პერიოდში მიიღეს სარგებელი ქონების ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებისას თუ ასეთი შემოსავალი არ არის გათავისუფლებული სსკ-ის 82-ე მუხლით (გარდა მე-3 და მე-4 რიგის მემკვიდრეებისა, რომლებმაც მიიღეს სარგებელი 150 000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების ჩუქებით ან/მემკვიდრეობით მიღებისას) | არაუგვიანეს 2025 წლის 31 მარტისა |
| ფიზიკური პირები , რომლებიც ახორციელებენ ქონების იჯარით/ქირით გაცემას და რომელთა შემოსავალიც არ ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას (მაგ: საცხოვრებელი ფართის საცხოვრებელი ან კომერციული მიზნით გაქირავება და სხვა) | არაუგვიანეს 2025 წლის 31 მარტისა |
| საქართველოს რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირები, თუ მათ მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი არ დაბეგრილა გადახდის წყაროსთან | არაუგვიანეს 2025 წლის 31 მარტისა |
| არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელმაც მიიღო წყაროსთან დაკავებული შემოსავალი და რომელიც დეკლარაციას წარადგენს გადასახადის გადაანგარიშების მოთხოვნით | |
| საქართველოში არსებული დიპლომატიური სტატუსის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციაში დასაქმებული ფიზიკური პირები | არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა. |
| თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოში დასაქმებული ფიზიკური პირები | არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა |

**შენიშვნა:** 2024 წლის 01 იანვრიდან ფიზიკური პირი, მათ შორის, არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ქონების/აქტივის მიწოდებას, ამ ქონების/აქტივის მიწოდებით ნამეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში, ვალდებულია საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს ფიზიკური პირის მიერ ქონების/აქტივის მიწოდებაზე საშემოსავლო გადასახადის დეკლარაცია, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა და ამავე ვადაში გადაიხადოს კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი.

საგადასახადო დეკლარაციებისა და გადასახადის გადახდის ვადების ცოდნა ხელს შეუწყობს თქვენს მიერ საგადასახადო ვალდებულებების დროულ შესრულებას.